

(სსმ 07.05.2007 N 62 მუხ. 706)

რეგისტრირებულია  
საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროში  
რეგისტრაციის ნომერი  
040.030.000.22.028.010.297

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა  
დაცვისა და სპორტის მინისტრის  
ბრძანება N 3/93  
2007 წლის 27 აპრილი ქ. თბილისი**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის  
მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N 3/256 ბრძანებით  
დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის –  
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის  
დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ”**

“ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა და “ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად:

1. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N 3/256 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულებაში (სსმ III, 08.08. 2006, N 105, მუხლი 435) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. კინოცენტრის სტრუქტურას ამტკიცებს კინოცენტრის დირექტორი;”.

ბ) დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“6. ეროვნული კინოცენტრის იურიდიული მისამართია: საქართველო, 0112 ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N 164.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*გ. გაბაშვილი*

